

## ოქმი N1

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს რიგგარეშე ბიუროს  
სხდომის

2017 წელი, 09 იანვარი  
ქ. ოზურგეთი, 16<sup>00</sup>სთ.

**ესწრებოდნენ:** საკრებულოს თავმჯდომარე: გ.კობალაძე,  
თავმჯდომარის მოადგილე: ნ. გოგუაძე,  
კომისიების თავმჯდომარეები: ი.საჯაია, ლ.ბიგვავა, ლ.თოიძე, ნ.ტაბატაძე,  
მ.მახარობლიძე.

ფრაქციის თავმჯდომარეები: ნ.ორაგველიძე, კ. კვაჭაძე.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის პასუხისმგებელი პირები.

**არ ესწრებოდნენ:** თ. სალუქვაძე, თ. ნადირიძე.

**სხდომას თავმჯდომარეობდა:** საკრებულოს თავმჯდომარე გ. კობალაძე.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო ბიუროს სხდომის დღის წესრიგი,

რომელიც დამტკიცდა ერთხმად.

### დღის წესრიგი

1. ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მოსკოვისა და ბაქრადის ქუჩის ტერიტორიაზე სადრენაჟე და სანიაღვრე სისტემის მოწესრიგების პეტიციის შესახებ განხილვის თაობაზე.

**მომხსენებელი:** გელა კობალაძე

**თანამომხსენებელი:** ზვიად ერაძე

**მომხსენებელმა ზ. ერაძემ** განმარტა წარმოდგენილი პეტიციის პროექტი მოსკოვისა და ბაქრადის ქუჩებზე სადრენაჟე და სანიაღვრე სისტემის მოწესრიგების შესახებ.

**დაადგინეს:** პეტიცია განსახილველად გადაეზავნოს ქალაქის მერიას.

**დამტკიცდა ერთხმად**

2. ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აბრებისა და ნიშნულების მოწესრიგების პეტიციის შესახებ განხილვის თაობაზე.

**მომხსენებელი: გელა კობალაძე**  
**თანამომხსენებელი: ზვიად ერაძე**

**მომხსენებელმა ზ. ერაძემ** განმარტა პეტიციის პროექტი აზრებისა და ნიშნულების მოწესრიგების შესახებ.

**დაადგინეს:** პეტიცია განსახილველად გადაეზავნოს ქალაქის მერიას.  
**დამტკიცდა ერთხმად**

3. ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მოწესრიგების პეტიციის შესახებ განხილვის თაობაზე.

**მომხსენებელი: გელა კობალაძე**  
**თანამომხსენებელი: ზვიად ერაძე**

**მომხსენებელმა ზ. ერაძემ** განმარტა პეტიციის პროექტი ავტომანქანების პარკირების მოწესრიგების შესახებ.

**აზრი გამოთქვას: ლ. ბიგვავა** -პარკირებაზე დროის აღრიცხვას ვინ არეგულირებს, როგორ წარმოგიდგენიათ?  
**ზ. ერაძე** - თუ გამოცხადდება ტენდერი, მოგებული ორგანიზაცია მოაწესრიგებს.  
**გ. კობალაძე** - სადგომების შესახებ მოგახსენებთ, რომ კომპანიებს, ვისაც გაფორმებული აქვს იჯარა, ერთს გაუვიდა ვადა, მერია მუშაობს ამ საკითხზე გააგრძელოს ხელშეკრულებები თუ არა. შუქნიშნები, თუმცა ძალიან ძვირი ჯდება, მაგრამ გაწერილი გვაქვს გრძელვადიან პერსპექტივაში.

**დაადგინეს:** პეტიცია განსახილველად გადაეზავნოს ქალაქის მერიას.  
**დამტკიცდა ერთხმად**

4. ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების გადაკვეთის ადგილებში მოძრაობის მარეგულირებელი შუქნიშნების განთავსების პეტიციის შესახებ განხილვის თაობაზე.

**მომხსენებელი: გელა კობალაძე**  
**თანამომხსენებელი: ზვიად ერაძე**

**მომხსენებელმა ზ. ერაძემ** განმარტა პეტიციის პროექტი ქუჩების გადაკვეთის ადგილებში მოძრაობის მარეგულირებელი შუქნიშნების განთავსების შესახებ.

**აზრი გამოთქვას: გ. კობალაძე** - პეტიციები მირებულია, შესაძლებლობის ფარგლებში რეაგირება მოყვება მათ განხილვას.

**დაადგინეს:** პეტიცია განსახილველად გადაეზავნოს ქალაქის მერიას.  
**დამტკიცდა ერთხმად**

5. „ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 20 დეკემბრის N24 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

**მომხსენებელი: გელა კობალაძე**

**თანამომხსენებელი: მარია ნაცვალაძე  
ლავრენტი ბიგვავა**

**მომხსენებელმა მ. ნაცვალაძემ** მუხლობრივად განმარტა 2017 წლის ბიუჯეტში ცვლილებებისა და ნაშთის ასახვის შესახებ პროექტი.

**აზრი გამოთქვას: ნ. ორაგველიძე** - არ უნდა მცირდებოდეს სოციალური დახმარების თანხები, იყო შემთხვევა მკვეთრად გამოსახული დაავადებები არ დაფინანსდა, არ მისულა ბრძანების დაწერამდე განცხადება.

**გ. კობალაძე** - პრაქტიკამ გვაჩვენა, რომ არ მივუთითებდით "ჯგუფი,- გასულ წელს, ვერ ავათავეთ თანხები დახმარებაზე. ახლა შეიქმნა ახალი პროგრამა, რომლითაც შეიძლება დავეხმაროთ ისეთ ადამიანებს, რომლებსაც არ აქვს ჯგუფი, მაგრამ სჭირდება დახმარება. შევქმნათ სამუშაო ჯგუფი, რომელიც განიხილავს შემოსულ განცხადებებს და ისე მოხდება დახმარების გაცემა.

**ლ. ბიგვავა** - ჩვენ არა გვაქვს უფლება ბიუჯეტში არ იდოს თანხა მატერიალური წახალისებისათვის. თუ გვინდა გვყავდეს სრულფასოვანი და კვალიფიცირებული კადრები, უნდა გვქონდეს წახალისების /სტიმულირების/ ფონდი.

**გ. კობალაძე** - თუ გამოჩნდა თანხა, რა მუხლით შეიძლება ამ თანხის გამოყენება სტიმულირებაზე?

**დაადგინეს:** საკითხი დასამტკიცებლად გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

**დამტკიცდა ერთხმად**

6. „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ” - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

**მომხსენებელი: გელა კობალაძე**

**თანამომხსენებელი: თამარ დუმბაძე**

**მომხსენებელმა თ. დუმბაძემ** სხდომაზე დამსწრეთ გააცნო სოციალური დახმარებების გაცემის წესის პროექტი, რომელზედაც უნდა დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება.

**აზრი გამოთქვას: ლ. ბიგვავა** - მე-2 მუხლი ამოსაღებია, რადგანაც ის დახმარების სახე არ არის, ის არის ჩამონათვალი. ახალ პროგრამაში უნდა ჩაიწეროს სამუშაო ჯგუფისათვის საინტერესო დოკუმენტაციის წარმოდგენა.

**დაადგინეს:** საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დასაწყებად.

**დამტკიცდა ერთხმად**

7. „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სახელით (ს/კ237113850) სესხის მიღებაზე, ქალაქ

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე” 2016 წლის 20 დეკემბრის N63 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

**მომხსენებელი: გელა კობალაძე**

**თანამომხსენებელი: გ. ხუროშვილი**

**მომხსენებელმა გ. ხუროშვილმა განმარტა წარმოდგენილი პროექტი.**

**დაადგინეს:** საკითხი დასამტკიცებლად გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

**დამტკიცდა ერთხმად**

8. „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოდებისა და განაკვეთის დადგენის შესახებ“ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

**მომხსენებელი: გელა კობალაძე**

**თანამომხსენებელი: კუკური ზარამიძე**

**მომხსენებელმა გ. ხუროშვილმა განმარტა წარმოდგენილი პროექტი.**

**აზრი გამოთქვას: გ. კობალაძე** - მოვიწვევთ სათამაშო ბიზნესის წარმომადგენლებს, შევთანხმდებით. საკითხზე იწყება საჯარო ადმინისტრაციული წარმოება.

**დაადგინეს:** საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დასაწყებად.

**დამტკიცდა ერთხმად**

9. ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2017 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

**მომხსენებელი: გელა კობალაძე**

**თანამომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა**

**მომხსენებელმა ლ. ბიგვავამ წარმოადგინა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2017 წლის სამუშაო გეგმა.**

**დაადგინეს:** დამტკიცდეს სამუშაო გეგმა

**დამტკიცდა ერთხმად**

10. ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო, იურიდულ საკითხთა და ეთიკის კომისიის 2017 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

**მომხსენებელი: გელა კობალაძე**

**თანამომხსენებელი: ირინე საჯაია**

**მომხსენებელმა ი. საჯაიამ წარმოადგინა სამანდატო-საპროცედურო, იურიდულ საკითხთა და ეთიკის კომისიის 2017 წლის სამუშაო გეგმა.**

**დაადგინეს:** დამტკიცდეს სამუშაო გეგმა  
**დამტკიცდა ერთხმად**

11. ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის 2017 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

**მომხსენებელი:** გელა კობალაძე  
**თანამომხსენებელი:** ლევან თოიძე

**მომხსენებელმა ლ. თოიძე წარმოადგინა** სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის 2017 წლის სამუშაო გეგმა.

**დაადგინეს:** დამტკიცდეს სამუშაო გეგმა  
**დამტკიცდა ერთხმად**

12. ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის 2017 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

**მომხსენებელი:** გელა კობალაძე  
**თანამომხსენებელი:** მედეა მახარობლიძე

**მომხსენებელმა მ. მახარობლიძემ წარმოადგინა** ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის 2017 წლის სამუშაო გეგმა.

**დაადგინეს:** დამტკიცდეს სამუშაო გეგმა  
**დამტკიცდა ერთხმად**

13. ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საქმეთა, გენდერული, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის 2017 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

**მომხსენებელი:** გელა კობალაძე  
**თანამომხსენებელი:** ნინო ტაბატაძე

**მომხსენებელმა ნ. ტაბატაძემ წარმოადგინა** განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საქმეთა, გენდერული, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის 2017 წლის სამუშაო გეგმა.

**დაადგინეს:** დამტკიცდეს სამუშაო გეგმა  
**დამტკიცდა ერთხმად**


ბიუროს წევრებმა საკრებულოს სხდომის ჩატარების დღედ დაადგინეს 10 იანვარი, 12 სთ.

საკრებულოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ბიუროს წევრებს და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

**სხდომის თავმჯდომარე:**

**გელა კობალაძე**

გელა კობლაძე

A handwritten signature in blue ink, appearing to be 'გელა კობლაძე' (Gela Kobladze), written in a cursive style.

საკრებულოს თავმჯდომარე

ხელმძღვანელობა